დამტკიცებულია
კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 25 მაისის №43 ბრძანებით
ცვლილება
კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 10 მარტის №31 ბრძანებით

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

წინამდებარე წესი განსაზღვრავს ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა) შემუშავების, დამტკიცებისა და მასში ცვლილების შეტანის პროცედურებს. დოკუმენტი შემუშავებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ №99/ნ ბრძანების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ.ა“ და „ბ.გ.“ ქვეპუნქტებისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად.

მუხლი 2. პროგრამის შემუშავების პროცედურა და წესი

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი ან/და სხვა შესაბამისი სპეციალისტი იძიებენ შემდეგი სახის ინფორმაციას:

1.1. კურსდამთავრებულთა ბაზის ანალიზს - ახალ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის სურვილისა და დასაქმების შესახებ;

1.2. სტატისტიკურ მონაცემებს დასაქმების მაჩვენებლების მიხედვით და მზარდი ტენდენციების გათვალისწინებით;

1.3. შრომის ბაზრის კვლევის მონაცემებსა და დამსაქმებელთა კონკრეტულ მოთხოვნებს და ინიცირებით მიმართავენ კოლეჯის დირექტორს პროგრამის დამატების შესახებ.

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება ხდება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე.

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი მოიცავს შემდეგი ტიპის მოდულებს: ზოგადი, პროფესიული, საერთო პროფესიული და არჩევითი მოდულები.

4. ზოგადი, პროფესიული, საერთო პროფესიული მოდულები სავალდებულოა და მათი შეცვლის უფლება დაწესებულებას არ გააჩნია.

5. შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებელია ითვალისწინებდეს არჩევითი სტატუსის მოდულებს, ამავე პროგრამის ზოგადი და პროფესიული მოდულების კრედიტთა საერთო მოცულობის არაუმეტეს 20%-ისა.

6. ჩარჩო დოკუმენტში, არჩევითი მოდულების ნაწილში, გარკვეულ შემთხვევებში მოცემულია იმ მოდულების ჩამონათვალი, რომლებიც სპეციალურად ამ პროგრამისათვის შეიქმნა. აღნიშნული ნაწილი შეიძლება არ შეიცავდეს ასეთ ჩამონათვალს. კოლეჯი უფლებამოსილია არ გაითვალისწინოს შეთავაზებული არჩევითი მოდულები, შეარჩიოს და განავითაროს ისინი საკუთარი შეხედულებისამებრ. ეს შესაძლოა იყოს სხვა პროგრამის სავალდებულო ან არჩევითი

მოდულები, მათ შორის სხვადასხვა უცხოური ენა. არჩევითი მოდულები ლოგიკურად უნდა იყოს ბმაში პროგრამასთან, რაც საჭიროების შემთხვევაში უნდა იქნას დასაბუთებული.

7. კოლეჯის მიერ არჩევითი მოდული ისე უნდა იქნეს შერჩეული, რომ მან განავრცოს სავალდებულო პროფესიული მოდულის ცოდნა და უნარები სპეციალიზებულ კონტექსტში, ანუ შექმნას დამატებითი ვიწრო სპეციალიზაციის შესაძლებლობა ან მოიცვას ისეთი ახალი ასპექტები, რომელიც მოცემულ პროფესიულ სფეროს სხვა სფეროს უკავშირებს; უზრუნველყოს დამატებითი ცოდნისა და უნარების შეძენა მომიჯნავე სპეციალიზაციაში ან მოიცვას დამატებითი ტრანსფერული საკვანძო უნარები, რომლებიც მნიშვნელოვანია შემდგომი პიროვნული განვითარებისა და დასაქმებისთვის.

8. ჩარჩო დოკუმენტში განსაზღვრული სპეციფიური პირობების შემთხვევაში, კოლეჯი ვალდებულია შეარჩიოს არჩევითი მოდულების მინიმუმ ის რაოდენობა, რაც პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების საერთო რაოდენობის ათვისების საშუალებას მისცემს პროფესიულ სტუდენტს.

9. თუკი მოდულის შერჩევა სადაო ხდება პროგრამის სამუშაო ჯგუფის ფარგლებში, აუცილებლად უნდა შედგეს შესაბამისი ოქმი და მიღებული იქნას დასაბუთებული გადაწყვეტილება.

10. ჩარჩო დოკუმენტი მოიცავს უცხოური ენის შესაბამისი დონის ზოგად მოდულს. კოლეჯი უფლებამოსილია შეარჩიოს შესაბამისი უცხოური ენა, რომელსაც ასწავლის პროგრამის ფარგლებში და ეს ასახოს უცხოური ენის მოდულში.

11. კოლეჯი უფლებამოსილია ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამა განახორციელოს არჩევითი მოდულების გარეშე.

12. პროგრამას დანართის სახით თან უნდა ახლდეს სასწავლო გეგმა. სტუდენტის კვირეული დატვირთვა არ უნდა იყოს 30 საათზე ნაკლები და 40 საათზე მეტი (დატვირთვაში იგულისხმება დამოუკიდებელი საათებიც), გარდა იმ პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამისა, რომელშიც ინტეგრირებულია სრული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.

13. სასწავლო გეგმა უნდა იძლეოდეს ნათელ სურათს პროგრამის თანმიმდევრული განხორციელების შესახებ და დაცული უნდა იქნას მოდულებზე დაშვების წინაპირობები.

14. პროგრამის განხორციელების ციკლის დასრულების შემდეგ შესაძლებელია მიღებული გამოცდილების გათვალისწინებით,გადაიხედოს არსებული სასწავლო გეგმა და განხორციელდეს ცვლილებები, რაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანის შესახებ კოლეჯის დირექტორის ბრძანებით გაფორმდება.

15. ისეთი გარემოებების არსებობისას (მაგალითად, ფორსმაჟორული გარემოებები), როდესაც ვერ ხდება სასწავლო გეგმის დაცვა, კოლეჯმა შესაძლებელია უზრუნველყოს სასწავლო პროცესის განხორციელების მიდგომების ცვლილება, მისი ნაწილობრივ დისტანციურად დაგეგმვა ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავება, პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების დაცვის მიზნით, რაც განათლების მიღების ინტერესს გულისხმობს.

16. ერთი და იმავე პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამა შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა მიდგომით, რომელთაგან შესაძლოა ერთი განისაზღვრებოდეს პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი რეალურ სამუშაო გარემოში მიღწევით, ხოლო მეორე - ინტეგრირებული და არაინტეგირებული მიდგომით. შემუშავებულ პროგრამაში მითითებულ უნდა იყოს პროგრამის განხორციელების მიდგომა/მიდგომები.

17. შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს „ქართული ენა A2/B1“ მოდულის განხორციელებას კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

18. განსხვავებული მიდგომით განხორციელების შემთხვევაში, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას უნდა ახლდეს ორი სასწავლო გეგმა.
19. პროგრამას დანართის სახით თან უნდა ახლდეს ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შესახებ, მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და საწარმოო პრაქტიკის/პრაქტიკული პროექტის/სასწავლო საწარმოს გავლის ობიექტთან დადებული მემორანდუმი/ხელშეკრულება და პროგრამის ბიუჯეტი.
20. პროგრამის ფორმა განსაზღვრულია ამ წესის დანართი №1-ის შესაბამისად.

მუხლი 3. მოდულის შემუშავების წესი

1. მოდული წარმოადგენს პროგრამის დანართს (განსაზღვრულია ამ წესის დანართი №2-ის შესაბამისად) და ის მტკიცდება ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანამანათლებლო პროგრამასთან ერთად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოდული ხორციელდება დამოუკიდებელი კურსის სახით (ასეთ შემთხვევაში, ის ცალკე უნდა დამტკიცდეს).
2. მოდულები შედგება სამი ნაწილისგან: ზოგადი ინფორმაცია, სტანდარტული ჩანაწერები და დამხმარე ჩანაწერები.
3. მოდულის პირველ (ზოგადი ინფორმაცია) და მეორე (სტანდარტული ჩანაწერები) ნაწილებში რაიმე ცვლილების განხორციელება პრაქტიკულად დაუშვებელია.
4. დამხმარე ჩანაწერები ატარებენ სარეკომენდაციო ხასიათს და შესაბამისად, დასაშვებია მათში ცვლილებების შეტანა, სათანადო დასაბუთებით. კონკრეტულად, შესაძლებელია შეიცვალოს სწავლების მიდგომები და მეთოდები, შეფასების ინსტრუმენტები.
5. თუ მოდულის სტანდარტულ ჩანაწერებში დაფიქსირდება ხარვეზ(ებ)ი, კოლეჯი უზრუნველყოფს ცენტრის ინფორმირებას.
6. საათების განაწილების ცვლილებისას დასაშვებია ცვლილება, როგორც სტუდენტის დატვირთვის სახეებს შორის (ჰორიზონტალურად), ასევე სწავლის შედეგებს შორის (ვერტიკალურად), თუმცა, არა დამოუკიდებელი საათების სასარგებლოდ (დამოუკიდებელი მუშაობის საათები არ უნდა გაიზარდოს).
7. მოდულის ნაწილი - მოდულის განხორციელების მიდგომები: ფორმულირებები უნდა შეიცვალოს იმგვარად, რომ ასახავდეს კოლეჯის მიდგომებს. თუ შემოთავაზებული მიდგომები გაზიარებული არაა, კოლეჯი თვითონ აყალიბებს საკუთარ მიდგომებს.
8. კოლეჯი უფლებამოსილია შეცვალოს თემატიკა მხოლოდ მისაღწევი სწავლის შედეგების კონტექსტში ან შეცვალოს სწავლის მეთოდები საკუთარი შეხედულებისამებრ. სწავლის შედეგების შეფასება შესაძლებელია მოხდეს როგორც ცალ-ცალკე, ისე რამდენიმე სწავლის შედეგისა ერთად (მათ შორის, ერთი ინსტრუმენტით).
9. მოდულის სწავლის შედეგის მიღწევა დადასტურებული უნდა იქნას შესაბამისი მტკიცებულებებით. თუ მტკიცებულების შეგროვების შეთავაზებულ მიდგომებს კოლეჯი არ ეთანხმება, შესაძლებელია მისი შეცვლა.
10. მოდულის შეფასების მიმართულებები და ინსტრუმენტები უნდა ცხადყოფდეს თუ რა მიმართულებით უნდა შეფასდეს სტუდენტის მიერ სწავლის შედეგის მიღწევა. კოლეჯი უფლებამოსილია შეცვალოს შეფასებისათვის გამოყენებული ინსტრუმენტი, რაც შესაფასებელი სწავლის შედეგის ადეკვატური უნდა იყოს და სანდო მტკიცებულებების მოპოვების შესაძლებლობას იძლეოდეს.
11. ცენტრის მიერ დამტკიცებული მოდული მოიცავს სასწავლო ლიტერატურისა და რეკომენდებული წყაროების ჩამონათვალს, რომელიც კოლეჯის მიერ შესაძლებელია ჩანაცვლდეს მსგავსი შინაარსის სხვა ლიტერატურით კოლეჯი ვალდებულია უზრუნველყოს მის მიერ არჩეული ყველა სახის ლიტერტურის ხელმისაწვდომობა პროფესიული სტუდენტებისათვის.

12. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (შემდგომში - სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შემდგომში -შშმ) პროფესიული სტუდენტებისათვის საჭიროების შემთხვევაში, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის ჩართულობით, იქნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მოდულის მოდიფიცირების/აკომოდირების მიზნით.

მუხლი 4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების წესი

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების თაობაზე შესაბამისი მოკვლევისა და მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, კოლეჯის დირექტორის ბრძანებით იქმნება კომისია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით;
2. კოლეჯის დირექტორის ბრძანების საფუძველზე შექმნილი კომისია შედგება: კომისიის თავმჯდომარის, კომისიის მდივნისა, ინიციატორისა და კომისიის სხვა წევრებისგან. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შედიან: პროგრამის ხელმძღვანელი, დარგობრივი და ზოგადი მოდულების განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლები, პროგრამაში, სადაც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები - ინტეგრირებული მოდულების განმახორციებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები, იმ პროგრამებზე, რომელებიც ითვალისწინებს სწავლის შედეგებისთვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტის რეალურ სამუშაო გარემოში მიღწევას, სამუშაო ჯფუფში დაემატება იმ დამსაქმებელი ორგანიზაციის წარმომადგენლები, რომლებიც ჩართული იქნებიან პროგრამის განხორციელებაში.
3. კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება.
4. კომისია მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უბრალო უმრავლესობით. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.
5. კომისიის სხდომის ოქმს ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და კომისიის მდივანი. კომისიის წევრს უფლება აქვს თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.
6. შესაბამისი კომისია იღებს გადაწყვეტილებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების ან დამატებაზე უარის თქმის შესახებ, რაც ფორმდება კომისიის სხდომის ოქმის სახით.
7. კომისიის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში, კოლეჯის დირექტორი ამტკიცებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ბრძანებით.
8. მოდულის ან მისი ნაწილის შეცვლის, მოდულის დამატების ან ამოღების შემთხვევაში გამოიცემა ბრძანება პროგრამაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.
9. იმ შემთხვევაში, თუ პროგრამით გათვალისწინებულია მოდული „საწარმოო პრაქტიკა“, დასამტკიცებლად წარმოდგენილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროექტს, თან უნდა დაერთოს საწარმოო პრაქტიკის გავლის ობიექტთან დადებული მემორანდუმი/ხელშეკრულება ;
10. იმ შემთხვევაში, თუ პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობა დაწესებულების მიერ უზრუნველყოფილია/ხელმისაწვდომია სასწავლებლის ბაზაზე ან საწარმოო პრაქტიკის ობიექტზე (სასწავლო დაწესებულების ფარგლებს გარეთ), ოფიციალური შეთანხმების საფუძველზე პროგრამის პროექტს თან უნდა დაერთოს შესაბამისი დოკუმენტაცია.
11. დუალური პროგრამის პროექტს თან უნდა ახლდეს პარტნიორ საწარმოსთან/საწარმოებთან გაფორმებული ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს შემდეგ ძირითად პუნქტებს:

ა) ხელშეკრულებით განსაზღვრულია პროფესიულ სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობა, რომელთა სწავლებაც შეუძლია საწარმოს;
ბ) საწარმო ვალდებულია პროფესიულ სტუდენტთა სწავლების განხორციელებისათვის გამოყოს შესაბამისი კვალიფიკაციის/გამოცდილების თანამშრომელი/ინსტრუქტორი, რომელიც უზრუნველყოფს მათ სწავლებას, საწარმოო პროცესში მონაწილეობასა და მათ შეფასებას;
გ) საწარმოს მიერ უზრუნველყოფილია პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხო სამუშაო გარემო, შრომითი პირობების დაცვა;
დ) საწარმოს მხრიდან უზრუნველყოფილია საწარმოში მისაღწევი სწავლის შედეგების შესაბამისი მატერიალურ- ტექნიკური ბაზა (მატერიალური რესურსის ჩამონათვალი);
12. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა უნდა განხორციელდეს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ, რომელიც თავად ფლობს შეთავაზებული კომპონენტის სწავლის შედეგის გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს.

მუხლი 5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანა

1. პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, პროფესიულ სტანდარტში, ცენტრის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების, შრომის ბაზრის მოთხოვნის ან სხვა გარემოებების საფუძველზე.
2. პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია ხარისხის მართვის მენეჯერს, პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებელს, კოლეჯის პარტნიორ ორგანიზაციას და სხვა დაინტერესებულ პირებს. ინიცირება დასაბუთებულად უნდა იქნას წარმოდგენილი წერილობითი სახით.
3. პროგრამაში ცვლილების შეტანა ხორციელდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით.
4. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შეცვლის შემთხვევაში კოლეჯი ვალდებულია უზრუნველყოს პროგრამის შეცვლილ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან შესაბამისობა და ცენტრს აცნობოს აღნიშნულის შესახებ შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა მიღების გამოცხადებამდე, არანაკლებ 60 კალენდარული დღით ადრე. ამავე დროს, უფლებამოსილია მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება, შეცვლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პარალელურად, ამ პროგრამის შეცვლამდე არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მხოლოდ აღნიშნული პროგრამის შეცვლამდე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის განხორციელების შესახებ მილევად რეჟიმში.
5. იმ შემთხვევაში, თუ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება მიიღებს გადაწყვეტილებას შეცვლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პარალელურად, განახორციელოს შეცვლამდე არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მხოლოდ მასზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის, ვალდებულია ცენტრს აცნობოს შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოცემიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.
6. ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, პროგრამაში ცვლილების პროექტის მომზადების პარალელურად ხდება პროფესიულ სტუდენტთა წერილობითი ინფორმირება და განემარტებათ მათი უფლება, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად დაასრულონ სწავლა შეცვლამდე არსებულ პროგრამაზე ან განახორციელონ მობილობა სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე. აღნიშნული დასტურდება ინფორმაციის მოწოდების ფურცელზე ხელმოწერით/ინფორმირებული თანხმობის დოკუმენტით;
7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდების, განხორციელების ფორმის ცვლილების ან საკუთარი ინიციატივით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში სწავლის

შედეგების დამატების ან/და ამოღების, ასევე სწავლის შედეგების მიღწევის ადგილის ცვლილების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია აღნიშნული ცვლილების შესახებ ცენტრს აცნობოს ცვლილების განხორციელების შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოცემიდან 30 კალენდარული დღის ვადაში და ცენტრს წარუდგინოს შესაბამისი დასაბუთება და მტკიცებულებები.

8. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შეცვლის შემთხვევაში პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლილ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან შესაბამისობა

9.იმ შემთხვევაში, თუ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება მიიღებს გადაწყვეტილებას შეცვლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პარალელურად, განახორციელოს შეცვლამდე არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მხოლოდ მასზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის, ვალდებულია ცენტრს აცნობოს შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოცემიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

10. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელებულ ცვლილებათა შესახებ დაწესებულების სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი დეტალურად ახდენს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებას.

მუხლი 6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება

1. კოლეჯში შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომელიც გამოიყენება სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად განათლების ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმების საშუალებით.

2. შიდა მექანიზმის სისტემა ძირითადად დაფუძნებულია პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე.

3. კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი ხელს უწყობს შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ კვალიფიკაციის ამაღლებას (ტრენინგი/ მასტერკლასები/ განათლების შემდგომი საფეხურის გავლა და სხვა).

4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მიზნით კოლეჯი:

4.1. შეიმუშავებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების სისტემას;

4.2. ადგენს პროგრამის შეფასებისათვის სხვადასხვა სახის დოკუმენტაციას (პროფესიულ სტუდენტთა კითხვარი - დანართი №3, პროფესიული განათლების მასწავლებლების კითხვარი - დანართი №4, დამსაქმებელთა კითხვარი - დანართი №5 კურსდამთავრებულთა კითხვარი - დანართი №6).

5. შეფასება ტარდება გამოკითხვის მეთოდით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი სრულყოფის მიზნით, შეფასების შედეგების საფუძველზე, ხარისხის მართვის მენეჯერი შეიმუშავებს რეკომენდაციებს და წარუდგენს კოლეჯის დირექტორს.

6. ხარისხის მართვის მენეჯერი აფასებს, პროგრამის განხორიელებისას გამოყენებული სასწავლო, ტექნიკური საშუალებებისა და დამხმარე თვალსაჩინოებების არსებობის საკითხს, რაც სწავლების მეთოდების შესაბამისი უნდა იყოს.

7. ხარისხის მართვის მენეჯერი განიხილავს, რამდენად ადეკვატურია სტუდენტთა შეფასების მეთოდები. ამასთან, უნდა განისაზღვროს, მოიცავს თუ არა შეფასების ინსტრუმენტები/საგამოცდო საკითხები პროგრამით გათვალისწინებული მასალის ძირითად ნაწილს და იძლევა თუ არა შეფასების მეთოდი პროგრამით გათვალისწინებული სწავლის

შედეგების შემოწმების/დადასტურების საშუალებას, შეესაბამება თუ არა სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა დადგენილ წესს. არის თუ არა შეფასების სისტემა მრავალკომპონენტიანი და რამდენად დასაბუთებულად არის გადანაწილებული ქულები ან რამდენად ადეკვატურადა არის დადასტურებული შესრულების კრიტერიუმები.

8. ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ ფასდება, რამდენად უწყობს ხელს პროფესიული განათლების მასწავლებელი პროფესიულ სტუდენტებსა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებს ინტერაქტიურ სწავლა-სწავლების პროცესს. ასევე, ამდენად თავსებადია პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიკაცია და კომპეტენციები პროფესიულ სტანდარტთან მიმართებაში.

მუხლი 7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი განვითარების მიზნით, კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი პროგრამის ხელძღვანელთან/პროფესიული განათლების მასწავლებელთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად, ხარისხის შიდა და გარე შეფასების შედეგების გამოყენებით, შეიმუშავებს რეკომენდაციებს პროგრამების განვითარების კუთხით.

2. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება მოიცავს ისეთ პროცესებს, როგორიცაა:

ა) პროგრამების შინაარსობრივი ასპექტების შეფასება;

ბ) სწავლა-სწავლების პროცესის მიმდინარეობის ადეკვატურობის დადგენა;

გ) მოდულის განმახორციელებელი პირების საქმიანობის შეფასება;

დ) მატერიალურ-ტექნიკური რესურსის, მასალა-ნედლეულის საკმარისობის, ავთენტურობის შეფასება;

ე) ვერიფიკაცია.

3. პროგრამების განვითარებაზე ზრუნვა დაწესებულებას შეუძლია როგორც საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში, ასევე, ცენტრში წინადადებების ინიცირებების გზით.

4. საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში, პროგრამების შეფასება შესაძლოა უკავშირდებოდეს:

ა) თემატიკის გამრავალფეროვნებას

ბ) სასწავლო მეთოდების შეცვლას

გ) საათების გადანაწილებას

დ)სასწავლო რესურსის შეცვლას

ე) პროფესიული განათლების მასწავლებლის შეცვლას და სხვა.

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების მიზნით, კოლეჯის ძირითადი დამსაქმებლის, სს „საქართველოს რკინიგზის“ თანამშრომლებთან ერთად, რომლებიც ჩართულნი არიან კოლეჯის სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის პროცესში, წელიწადში ორჯერ კოლეჯში იმართება შეხვედრა, რათა მოხდეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისას დამდგარი საკითხების, შენიშვნებისა და რეკომენდაციების განხილვა და საჭიროებისას, ხარისხის მართვის მენეჯერი კოლეჯის დირექტორს წარუდგენს წინადადებებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი განვითარების შესახებ.

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისა და ცვლილებების პროცედურები ხორციელდება ამ წესის შესაბამისად.

7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება და შემდგომი ცვლილებების ინიცირება უნდა მოხდეს ცენტრის მიერ შემუშავებული გარე ინიცირების წესისა და

პროცედურების შესაბამისად. პროგრამაში ცვლილების შეტანის საფუძველი, ასევე, შესაძლებელია, იყოს პროგრამის ხელმძღვანელის დასაბუთებული რეკომენდაცი(ებ)ა, რომელიც ემსახურება პროგრამის განვითარების მიზნებს.

8. განხორციელებული ცვლილებების შესახებ ინფორმაცია აისახება პროგრამაში, მის თანმდევ დოკუმენტებში, კატალოგში და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ეცნობება ცენტრს.

მუხლი 8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება ხდება შემდეგ შემთხვევებში:

1.1. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის (ჩარჩო დოკუმენტის) გაუქმების ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან ერთ-ერთი კვალიფიკაციის ამოღების შემთხვევაში, მას შემდეგ, რაც შესაბამის პროგრამაზე ჩარიცხული ყველა პროფესიული სტუდენტი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად დაასრულებს სწავლას და მიენიჭებათ პროფესიული კვალიფიკაცია;

1.2. თუკი კოლეჯი ზედიზედ 3 წლის მანძილზე არ განახორციელებს ავტორიზებულ პროგრამას და დაწესებულების მიერ განხორციელებული თვითშეფასებით დგინდება, რომ პროგრამა აღარ არის მოთხოვნადი შრომის ბაზარზე და უახლოეს პერიოდშიც არ ჩანს მისი განხორციელების პერსპექტივა;

1.3. სხვა შემთხვევა, რომელიც პროგრამის გაუქმებით არ დაარღვევს პროფესიულ სტუდენტთა კანონიერ ინტერესებს;

2. პირველი მუხლის 1.2. და 1.3. ქვეპუნქტების შემთხვევაში პროგრამის გაუქმების ინიციატორი შეიძლება იყოს: კოლეჯი, დამსაქმებელი, პარტნიორი საწარმო, დარგობრივი ასოციაცია, საინიციატივო ჯგუფი, სხვა;

3. პირველი მუხლის 1.2. და 1.3. ქვეპუნქტების შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნას დასაბუთებული ინიცირება წერილობითი ფორმით.

4. პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამის გაუქმება ხდება დირექტორის შესაბამისი ბრძანების საფუძველზე;

5. კოლეჯი ვალდებულია ინფორმაცია პროგრამის გაუქმების შესახებ აცნობოს ცენტრს ბრძანების გამოცემიდან არაუგვიანეს 30 დღის ვადაში.

დანართი №1
დამტკიცებულია

ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის
კოლეჯის დირექტორის
----- წლის ---- ნოემბრის №------- ბრძანებით

ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

მისამართი: ქ. თბილისი თემქის დასახლება, მე-11 მკ.რ. მე-3 კვ. ნაკვეთი 01/10

პროგრამის ხელმძღვანელი: ----------

ტელეფონი: ----------

ელ. ფოსტა: ----------

თბილისი

2021

1. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება**
2. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე**
3. **კვალიფიკაციის კოდი და დონე:**
4. **პროგრამის მიზანი**
5. **დაშვების წინაპირობა**
6. **დასაქმების სფერო და შესაძლებლობები**

• ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდი:
• დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდი:

7. **სტრუქტურა და მოდულები**

- პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის -
- პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის –
- პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის -
- პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის -

№	... მოდულები	კრედიტი
	ჯამი:	
№	... მოდულები	კრედიტი
	ჯამი:	
№	... მოდულები	კრედიტი

8. **მისანიჭებელი კვალიფიკაციების შესაბამი სწავლის შედეგები**

კურსდამთავრებულს შეუძლია:

სწავლის შედეგები

9. **ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის ----------
---საფუძველზე.

10. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:
ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;
ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.
არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.
განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.
განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას *(მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა*), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში უნდა შეფასდეს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

მართლმეტყველება

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., ჟესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).

მართლწერა

- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები;
- ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

11. კვალიფიკაციის მინიჭება

კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული --------- კრედიტი.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისთვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტი რეალურ სამუშაო გარემოში მიიღწევა, კვალიფიკაციის მინიჭების დამატებითი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

12. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

13. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი:

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამა განხორციელდება

დანართი:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი

პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები:

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის
ხარისხის მართვის მენეჯერი

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის
დირექტორი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დანართი N - -

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი

მოდულის სტატუსი: ----------

(მოდულის სახელწოდება)

სარეგისტრაციო ნომერი: ----------

მოდული

1.ზოგადი ინფორმაცია

სარეგისტრაციო ნომერი:

სახელწოდება:

გამოქვეყნების/ცვლილების თარიღი:

მოცულობა კრედიტებში:

მოდულზე დაშვების წინაპირობა:

მოდულის აღწერა:

2. სტანდარტული ჩანაწერები

სწავლის შედეგები	შესრულების კრიტერიუმები	კომპეტენციის პარამეტრების ფარგლები	შეფასების მიმართულება
	1.		

3. დამხმარე ჩანაწერები

3.1. მიდგომები სწავლებისა და შეფასების ორგანიზებისთვის

სწავლის შედეგი	თემატიკა	სწავლება-სწავლის მეთოდი/მეთოდები	შეფასების მეთოდი/მეთოდები	მტკიცებულება/მტკიცებულებები პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოსთვის
დამატებითი მიდგომები მოდულის განხორციელებას თან დაკავშირებით				

3.2. საათების განაწილების სქემა

სწავლის შედეგები	საათების განაწილება სწავლის შედეგების მიხედვით			
	საკონტაქტო	დამოუკიდებელი	შეფასება	სულ
სულ				

3.3. სასწავლო რესურსი

3.4. მიდგომები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების(სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის მიერ მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გამოიყენება, როგორც სახელმძღვანელო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის მიმდინარე შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად, განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან, ხოლო საბოლოო შეფასება და კრედიტების მინიჭება -საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის მოთხოვნებთან მიმართებით.

მოდულის განმახორციელებელი:

№	სახელი და გვარი	საკონტაქტო ინფორმაცია
1.		
2.		

დანართი №3

<u>**პროფესიული სტუდენტის კითხვარი**</u>

გვაინტერესებს თქვენი აზრი იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ, რომელზეც სწავლობთ. გთხოვთ, გულწრფელად გასცეთ პასუხი ქვემოთ მოყვანილ კითხვებს. თქვენი პასუხები გამოყენებული იქნება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომი სრულყოფისათვის.

მიუთითეთ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება

_____

1. სწავლის დაწყებისთანავე გავეცანი პროგრამის მიზანს, შინაარს,მოდულებს, შესაბამის კალენდარულ გეგმებს და სასწავლო რესურს, შეფასების სისტემას. ა)კი
ბ)არა (თქვენი მოსაზრება)

_____

გ) ნაწილობრივ (თქვენი მოსაზრება)

_____

2. არის თუ არა პროგრამის ხანგრძლივობა თქვენთვის მისაღები?
ა)კი
ბ)არა (თქვენი მოსაზრება)

_____

გ) ნაწილობრივ (თქვენი მოსაზრება)

_____

3. გაკმაყოფილებთ თუ არა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა (სალექციო განრიგში მოდულების დროში განაწილება)?
ა) კი
ბ) არა (თქვენი მოსაზრება)

_____

გ) ნაწილობრივ (თქვენი მოსაზრება)

_____

4. გაკმაყოფილებთ თუ არა კოლეჯში სწავლის შედეგების დადასტურების არსებული სისტემა?

ა) კი

ბ) არა (თქვენი მოსაზრება)

_____

გ) ნაწილობრივ (თქვენი მოსაზრება)

_____

5. შეაფასეთ პედაგოგები მათ მიერ წაკითხული თეორიული და პრაქტიკული კურსების სწავლების ხარისხის მიხედვით:

მომწონს (მიუთითეთ პედაგოგები)

_____

_____

არ მომწონს (მიუთითეთ პედაგოგები)

_____

_____

6. გაკმაყოფილებთ თუ არა კოლეჯის აუდიტორიების, ლაბორატორიების მდგომარეობა?

ა) კი
ბ) არა (თქვენი მოსაზრება)

_____

გ) ნაწილობრივ (თქვენი მოსაზრება)

_____

7. გაკმაყოფილებთ თუ არა კოლეჯის სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა კომპიუტერული ბაზით?

ა) კი
ბ) არა (თქვენი მოსაზრება)

_____

გ) ნაწილობრივ (თქვენი მოსაზრება)

_____

8. გაკმაყოფილებთ თუ არა კოლეჯის სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა ინტერნეტით?

ა) კი
ბ) არა (თქვენი მოსაზრება)

_____

გ) ნაწილობრივ (თქვენი მოსაზრება)

_____

9. გაკმაყოფილებთ თუ არა კოლეჯის ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია?

ა) კი
ბ) არა (თქვენი მოსაზრება)

_____

გ) ნაწილობრივ (თქვენი მოსაზრება)

_____

10. გაკმაყოფილებთ თუ არა კოლეჯის სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა ბიბლიოთეკით?

ა) კი
ბ) არა (თქვენი მოსაზრება)

_____

გ) ნაწილობრივ (თქვენი მოსაზრება)

_____

11. ბიბლიოთეკაში არსებული რესურსი შესაბამისობაშია მოდულებში მითითებულ სასწავლო ლიტერატურასთან.

ა) კი
ბ) არა (თქვენი მოსაზრება)

_____

გ) ნაწილობრივ (თქვენი მოსაზრება)

_____

12. სასწავლო პრაქტიკის ლაბორატორიების/სახელოსნოების ბაზა იძლევა პრაქტიკის კომპონენტით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის საშუალებას. ა) კი
ბ) არა (თქვენი მოსაზრება)

_____

გ) ნაწილობრივ (თქვენი მოსაზრება)

_____

13. ადმინისტრაციული პერსონალი კეთილგანწყობილი და სამართლიანია.

ა) კი (სურვილისამებრ მიუთითეთ სახელები)

_____

ბ) არა (სურვილისამებრ მიუთითეთ სახელები)

_____

14. კოლეჯში სასწავლო პროცესი სასიამოვნო გარემოში მიმდინარეობს.

ა) კი
ბ) არა (თქვენი მოსაზრება)

_____

გ) ნაწილობრივ (თქვენი მოსაზრება)

_____

15. კოლეჯში მიღებული განათლება მომცემს შრომის ბაზარზე დასაქმებისა და წარმატების საშუალებას.
ა) კი
ბ) არა (თქვენი მოსაზრება)

_____

გ) ნაწილობრივ (თქვენი მოსაზრება)

_____

16. სწავლისათვის აუცილებელი ინფორმაცია ყოველთვის დროულად ხელმისაწვდომია.

ა) კი
ბ) არა (თქვენი მოსაზრება)

_____

გ) ნაწილობრივ (თქვენი მოსაზრება)

17. შეფასების ინსტრუმენტები/საგამოცდო საკითხები შინაარსობრივად შეესაბამება განლილ სასწავლო მასალას.

ა) კი
ბ) არა (თქვენი მოსაზრება)

გ) ნაწილობრივ (თქვენი მოსაზრება)

18. თვლით თუ არა, რომ სწორი არჩევანი გააკეთეთ?

ა) კი
ბ) არა (თქვენი მოსაზრება)

გ) ნაწილობრივ (თქვენი მოსაზრება)

19. ამ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გავლას სხვასაც ვურჩევდი.

ა) კი
ბ) არა (თქვენი მოსაზრება)

20. რა მოგწონთ სასწავლო პროცესში ყველაზე მეტად? რას შეცვლიდით?

გმადლობთ თანამშრომლობისთვის!

დანართი №4

<u>პროფესიული განათლების მასწავლებელის კითხვარი</u>

გვაინტერესებს თქვენი აზრი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ, რომელსაც ასწავლით. გთხოვთ, პასუხი გასცეთ ქვემოთ მოყვანილ კითხვებს. თქვენი პასუხები გამოყენებული იქნება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომი სრულყოფისათვის.

მიუთითეთ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მოდულის სახელწოდება

---

1 . სასწავლო ინფრასტრუქტურა ჩემს მიერ წაკითხული მოდულის შესაბამისია.
ა) კი
ბ) არა (თქვენი მოსაზრება)

_____

გ) ნაწილობრივ (თქვენი მოსაზრება)

_____

2. სასწავლო და სამუშაო გარემო კომფორტულია, შესაძლებელია ინტერნეტით და კომპიუტერით სარგებლობა.
ა) კი
ბ) არა (თქვენი მოსაზრება)

_____

გ) ნაწილობრივ (თქვენი მოსაზრება)

_____

3. მუშაობის პროცესში თავს ვგრძნობ უსაფრთხოდ და დაცულად, კოლეჯში არის დამოუკიდებელი მუშაობის და დასვენების შესაძლებლობა.
ა) კი
ბ) არა (თქვენი მოსაზრება)

_____

გ) ნაწილობრივ (თქვენი მოსაზრება)

---

4. სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვისათვის საჭირო ინფორმაციასა და მარეგულირებელ აქტებზე ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია. ა) კი
ბ) არა (თქვენი მოსაზრება)

გ) ნაწილობრივ (თქვენი მოსაზრება)

---

5. ბიბლიოთეკაში საჭირო სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია.

ა) კი
ბ) არა (თქვენი მოსაზრება)

გ) ნაწილობრივ (თქვენი მოსაზრება)

---

6. ადმინისტრაცია უზრუნველყოფს სასწავლო მასალების შექმნას და შეძენას:

ა) კი
ბ) არა (თქვენი მოსაზრება)

გ) ნაწილობრივ (თქვენი მოსაზრება)

---

7. რამდენად კმაყოფილი ხართ ადმინისტრაციის საქმიანობით?

ა) კმაყოფილი ვარ
ბ) არ ვარ კმაყოფილი

გ) ნაწილობრივ კმაყოფილი ვარ

---

8. მასწავლებლის შემოქმედითობა მოტივირებულია. არის სწავლების პროცესისადმი ინოვაციური მიდგომების დანერგვის შესაძლებლობა.
ა) კი
ბ) არა (თქვენი მოსაზრება)

გ) ნაწილობრივ (თქვენი მოსაზრება)

---

9. არის თუ არა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა თქვენთვის მისაღები?
ა) კი
ბ) არა (თქვენი მოსაზრება)

გ) ნაწილობრივ (თქვენი მოსაზრება)

---

10. არის თუ არა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა თქვენთვის მისაღები? ა) კი
ბ) არა (თქვენი მოსაზრება)

გ) ნაწილობრივ (თქვენი მოსაზრება)

---

11. თქვენი აზრით, არის თუ არა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები ურთიერთშესაბამისი?
ა) კი
ბ) არა (თქვენი მოსაზრება)

გ) ნაწილობრივ (თქვენი მოსაზრება)

---

12. თქვენი აზრით, რა ხელის შემშლელი ფაქტორები/გამოწვევები იჩენს თავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევისას სსსმ და შშმ პირებთან?

---

13. გთხოვთ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტანდარტის მიხედვით შეაფასოთ, თუ რამდენად იქნა მიღწეული შედეგები შესაბამისი მოდულის გავლის შემდეგ

ა) შედეგები მიღწეულია
ბ) შედეგები ნაწილობრივ მიღწეულია
გ) შედეგები არ არის მიღწეული

14. თქვენი აზრით, უნდა იყოს თუ არა ჩართული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში დამსაქმებლები, პროფესიული ასოციაციები და სხვა დაინტერესებული მხარეები (პროფესიული სტუდენტები ან მათი მშობლები)
ა) კი
ბ) არა (თქვენი მოსაზრება)

გ) ნაწილობრივ (თქვენი მოსაზრება)

---

15. თქვენი აზრით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ძლიერი მხარეა:

---

16. თქვენი აზრით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სუსტი მხარეა:

---

17. რამეს ხომ არ შეცვლიდით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სრულყოფისათვის?

---

18. სასწავლო პროცესის ზოგადი შეფასება 0 1 2 3 4 5

გმადლობთ თანამშრომლობისთვის!

დანართი №5

<u>კურსდამთავრებულის კითხვარი</u>

გვაინტერესებს თქვენი აზრი იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ, რომელზეც სწავლობდით. ამიტომ გთხოვთ, გულწრფელად გასცეთ პასუხი ქვემოთ მოყვანილ კითხვებს. თქვენი პასუხები გამოყენებული იქნება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომი სრულყოფისათვის.

მიუთითეთ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მოდულის სახელწოდება

---

1. სწავლის დაწყებისთანავე გავეცანი პროგრამის მიზანს, შინაარს,მოდულებს, შესაბამის კალენდარულ გეგმებს და სასწავლო რესურს, შეფასების სისტემას. ა) კი
ბ) არა (თქვენი მოსაზრება)

_____

გ) ნაწილობრივ (თქვენი მოსაზრება)

_____

2 . იყო თუ არა პროგრამის ხანგრძლივობა თქვენთვის მისაღები? ა) კი
ბ) არა (თქვენი მოსაზრება)

_____

გ) ნაწილობრივ (თქვენი მოსაზრება)

_____

3. გაკმაყოფილებდათ თუ არა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა (სალექციო განრიგში მოდულების დროში განაწილება)?

ა) კი
ბ) არა (თქვენი მოსაზრება)

_____

გ) ნაწილობრივ (თქვენი მოსაზრება)

---

4. გაკმაყოფილებდათ თუ არა კოლეჯში სწავლის შედეგების დადასტურების არსებული სისტემა?

ა) კი
ბ) არა (თქვენი მოსაზრება)

გ) ნაწილობრივ (თქვენი მოსაზრება)

---

5. შეაფასეთ მასწავლებლები მათ მიერ წაკითხული თეორიული და პრაქტიკული სწავლების ხარისხის მიხედვით:

მომწონდა (მიუთითეთ მასწავლებლები)

არ მომწონდა (მიუთითეთ მასწავლებლები)

---

6. გაკმაყოფილებდათ თუ არა კოლეჯის აუდიტორიების, ლაბორატორიების მდგომარეობა?

ა) კი
ბ) არა (თქვენი მოსაზრება)

გ) ნაწილობრივ (თქვენი მოსაზრება)

---

7. გაკმაყოფილებდათ თუ არა კოლეჯის სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა კომპიუტერული ბაზით?
ა) კი
ბ) არა (თქვენი მოსაზრება)

გ) ნაწილობრივ (თქვენი მოსაზრება)

---

8. გაკმაყოფილებდათ თუ არა კოლეჯის სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა ინტერნეტით?

ა) კი
ბ) არა (თქვენი მოსაზრება)

გ) ნაწილობრივ (თქვენი მოსაზრება)

---

9. გაკმაყოფილებდათ თუ არა კოლეჯის ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია?

ა) კი
ბ) არა (თქვენი მოსაზრება)

გ) ნაწილობრივ (თქვენი მოსაზრება)

---

10. გაკმაყოფილებდათ თუ არა კოლეჯის სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა ბიბლიოთეკით? ა) კი
ბ) არა (თქვენი მოსაზრება)

გ) ნაწილობრივ (თქვენი მოსაზრება)

---

11. შეესაბამებოდა თუ არა ბიბლიოთეკაში არსებული რესურსი მოდულებში მითითებულ სასწავლო ლიტერატურას?
ა) კი
ბ) არა (თქვენი მოსაზრება)

გ) ნაწილობრივ (თქვენი მოსაზრება)

---

12. იძლეოდა თუ არა სასწავლო პრაქტიკის ლაბორატორიების/სახელოსნოების ბაზა პრაქტიკის კომპონენტით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის საშუალებას?
ა) კი
ბ) არა (თქვენი მოსაზრება)

გ) ნაწილობრივ (თქვენი მოსაზრება)

---

13. ადმინისტრაციული პერსონალი იყო კეთილგანწყობილი და სამართლიანი.
ა) კი (სურვილისამებრ მიუთითეთ სახელები)
ბ) არა (სურვილისამებრ მიუთითეთ სახელები)

14. კოლეჯში სასწავლო პროცესი სასიამოვნო გარემოში მიმდინარეობდა. ა) კი
ბ) არა (თქვენი მოსაზრება)

გ) ნაწილობრივ (თქვენი მოსაზრება)

---

15. კოლეჯში მიღებულმა განათლებამ მომცა შრომის ბაზარზე დასაქმებისა და წარმატების საშუალება.
ა) კი
ბ) არა (თქვენი მოსაზრება)

გ) ნაწილობრივ (თქვენი მოსაზრება)

---

16. კოლეჯში მიღებულმა განათლებამ მომცა შრომის ბაზარზე დასაქმებისა და წარმატების საშუალება.
ა) კი
ბ) არა (თქვენი მოსაზრება)

გ) ნაწილობრივ (თქვენი მოსაზრება)

---

17. შეფასების ინსტრუმენტები/საგამოცდო საკითხები შინაარსობრივად შეესაბამებოდა გავლილ სასწავლო მასალას.
ა) კი
ბ) არა (თქვენი მოსაზრება)

გ) ნაწილობრივ (თქვენი მოსაზრება)

---

18. თვლით თუ არა, რომ სწორი არჩევანი გააკეთეთ? ა) კი
ბ) არა (თქვენი მოსაზრება)

გ) ნაწილობრივ (თქვენი მოსაზრება)

---

19. ამ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გავლას სხვასაც ვურჩევდი. ა) კი
ბ) არა (თქვენი მოსაზრება)

---

20. რა მოგწონდათ სასწავლო პროცესში ყველაზე მეტად? რას შეცვლიდით?

გმადლობთ თანამშრომლობისთვის!

დანართი №6

დამსაქმებლის კითხვარი

გვაინტერესებს თქვენი აზრი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ. ამიტომ გთხოვთ, გულწრფელად გასცეთ პასუხი ქვემოთ მოყვანილ კითხვებს. თქვენი პასუხები ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია და გამოყენებული იქნება საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომი სრულყოფისათვის.

შევსების თარიღი _____

ორგანიზაციის/საწარმოს დასახელება	
მისამართი	
ტელეფონი	
ელ-ფოსტა:	

მიუთითეთ დაკავებული თანამდებობა	
ტელეფონი	
ელ-ფოსტა	

მიუთითეთ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

_____

1. თქვენი აზრით, აქტუალურია თუ არა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა? ა) აქტუალურია
ბ)არ არის აქტუალური
2. შეესაბამება თუ არა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები თანამედროვე ბაზრის მოთხოვნებს?
ა) კი
ბ) არა (თქვენი მოსაზრება)

_____

გ) ნაწილობრივ (თქვენი მოსაზრება)

_____

3. არის თუ არა კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა საკმარისი კვალიფიციური სპეციალისტის მოსამზადებლად?

ა) კი
ბ) არა (თქვენი მოსაზრება)

_____

გ) ნაწილობრივ (თქვენი მოსაზრება)

_____

4. ურთიერთშესაბამისობაშია თუ არა ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები?

ა) კი
ბ) არა (თქვენი მოსაზრება)

_____

გ) ნაწილობრივ (თქვენი მოსაზრება)

_____

5. შესაბამისობაშია თუ არა მისანიჭებელი კვალიფიკაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული დასაქმების სფეროებთან?

ა) კი
ბ) არა (თქვენი მოსაზრება)

_____

გ) ნაწილობრივ (თქვენი მოსაზრება)

_____

6. მისცემს თუ არა კოლეჯში მიღებული განათლება შრომის ბაზარზე დასაქმებისა და წარმატების საშუალებას კურსდამთავრებულს?

ა) კი
ბ) არა (თქვენი მოსაზრება)

_____

გ) ნაწილობრივ (თქვენი მოსაზრება)

_____

7. ისურვებდით თუ არა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა თქვენს დაწესებულებაში/ორგანიზაციაში დასაქმებას?

ა) კი

ბ) არა (თქვენი მოსაზრება)

_____

8. ისურვებდით თუ არა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სსსმ და შშმ კურსდამთავრებულთა თქვენს დაწესებულებაში/ორგანიზაციაში დასაქმებას?

ა) კი
ბ) არა (თქვენი მოსაზრება)

_____

9. შეესაბამება თუ არა სტუდენტის მიერ ათვისებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული თეორიული და პრაქტიკული კომპონენტები დასაქმების სფეროს? ა) კი
ბ) არა (თქვენი მოსაზრება)

_____

გ) ნაწილობრივ (თქვენი მოსაზრება)

_____

10. შეესაბამება თუ არა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა კომპეტენცია თქვენ დაწესებულებაში/ორგანიზაციაში არსებულ მოთხოვნებს სამსახურებრივი საქმიანობის შესასრულებლად?

ა) კი
ბ) არა (თქვენი მოსაზრება)

_____

გ) ნაწილობრივ (თქვენი მოსაზრება)

_____

11. უზრუნველყოფს თუ არა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა კომპეტენცია მათ კონკურენტუნარიანობას დასაქმების ბაზარზე თქვენ სფეროში?

ა) კი
ბ) არა (თქვენი მოსაზრება)

_____

გ) ნაწილობრივ (თქვენი მოსაზრება)

_____

12. აკმაყოფილებს თუ არა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკის ხანგრძლივობა დასაქმების სფეროს ?

ა) კი

ბ) არა (თქვენი მოსაზრება)

_____

გ) ნაწილობრივ (თქვენი მოსაზრება)

_____

13. თქვენი რეკომენდაციები

_____

_____

_____

გმადლობთ თანამშრომლობისათვის!